ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01182643582**
თარიღი: **21/09/2018**
პინი: **5368**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 20 სექტემბრის #60-0118263710 წერილი (AR1623289) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ გიორგი გუჯაბიძის მომართვის საფუძველზე, შპს ,,ისანი კომფორტის'' საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი #24ა ს.კ. #01.19.34.002.190) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი) განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

განმეორებით გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს და დააფიქსიროს პოზიცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ტოპო.გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით, მასზე მწვანე ნარგავების დატანით, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მცენარეების ნუმერაციის შესაბამისად, ასევე საპროექტო შენობასა და ხე-მცენარეებს შორის არსებული მანძილების აღნიშვნით.

აქვე ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ მწვანე ქალაქის კონცეფციით, მიზანშეწონილია, შენობების მორგება/ინტეგრირება მწვანე ნარგავებთან და არა პირიქით, შესაბამისად საპროექტო შენობა განთავსდეს ისე, რომ ტერიტორიაზე შენარჩუნდეს მწვანე ნარგავების მაქსიმალური ოდენობა.

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი